

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (ECtHR) და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ციხის შესახებ პრაქტიკის მიმოხილვა

მარტი 2022

წინამდებარე შეჯამება აგროვებს ციხის პრობლემებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (European Court of Human Rights) და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (Court of Justice of the European Union) მიერ გამოცხადებულ ყველაზე მნიშვნელოვან განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს. ბიულეტენი მიზნად ისახავს ევროპული ციხეების პრეცედენტული სამართლის ძირითადი ტენდენციების შესახებ ანგარიშებით ბიულეტენი მიზნად ისახავს ციხის სფეროში პრაქტიკოსი იურისტების მხარდაჭერას კვლევასა და სამართალწარმოებაში, აგრეთვე ევროპულ პრეცედენტულ სამართალში მკვდარი ზონების იდენტიფიცირებას.

საქმეების მიმოხილვა იანვარი- თებერვალი 2022

ბოროდი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (BORODAY AND OTHERS V. UKRAINE) ■ [საჩივრების ნომრები: 44274/13, 18862/15, და 36191/15](#)

შესაბამისი სამედიცინო დახმარების არარსებობა მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრებისათვის: მე-3 მუხლის დარღვევა: მე-3 მუხლის დარღვევა.

კალმიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (KALMYKOV V. RUSSIA) ■ [საჩივრის ნომერი: 71325/16](#)

შესაბამისი სამედიცინო დახმარების არარსებობა აივ ინფექცია/შიდსით დაავადებული პატიმრისათვის: მე-3 მუხლის დარღვევა.

ვასილენკო უკრაინის წინააღმდეგ (VASILENKO V. UKRAINE) ■ [საჩივრის ნომერი: 70777/12](#)

პროკურატურასთან პატიმრის მიმოწერის რუტინული მონიტორინგი: მე-8 მუხლის დარღვევა. სამართლებრივი დაცვის არარსებობა ასეთ დარღვევასთან მიმართებაში: მე-13 მუხლის დარღვევა.

ლუკოშინი ლიეტუვას წინააღმდეგ (LUKOŠIN V. LITHUANIA) ■ [\(საჩივრის ნომერი: 25059/20\)](#)

დაკავებულის მოთავსება გადატვირთულ საკანში: მე-3 მუხლის დარღვევა. დანგრევის პირას მისულ და არასათანადოდ განათებულ დისციპლინარულ საკანში მოთავსება: მე-3 მუხლის დარღვევა.

მეჰმეთ ჩიბტი და სუატ ინჯედერე თურქეთის წინააღმდეგ (MEHMET ÇİFTÇI AND SUAT İNCEDERE V. TURKEY) ■ [საჩივრების ნომრები: 21266/19 და 21774/19](#)

სანქციები დაწესდა პატიმრების წინააღმდეგ, რომლებიც კითხულობდნენ ლექსებს და მღეროდნენ საგალობლებს იმ პატიმრების ხსოვნისათვის, რომლებიც ციხის სპეციალური ოპერაციის დროს დაიღუპნენ: მე-10 მუხლის დარღვევა.

სალმანოვი სლოვაკეთის წინააღმდეგ (SALMANOV V. SLOVAKIA) ■ [საჩივრის ნომერი: 40132/16](#)

უზენაესი სასამართლოს მიერ უკანონო წინასწარი დაკავება პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ: 5§1 მუხლის დარღვევა. თავისუფლების უფლების დარღვევისთვის კომპენსაცია ხელმისაწვდომი არ არის: 5§5 მუხლის დარღვევა.

საი იტალიის წინააღმდეგ (SY V. ITALY) ■ საჩივრის ნომერი: 11791/20

ბიპოლარული აშლილობის მქონე პირის ჩვეულებრივ ციხეში მოთავსება ორი წლის განმავლობაში, ცუდ პირობებში და მისი მდგომარეობის სამკურნალოდ ყოველგვარი ზოგადი თერაპიული სტრატეგიის გარეშე: მე-3 მუხლის დარღვევა. ბიპოლარული აშლილობის მქონე პირის ჩვეულებრივ ციხეში პატიმრობის გაგრძელება შიდასახელმწიფო სასამართლოს განკარგულების მიუხედავად, რომ გადაეყვანათ ის შესაბამის დაწესებულებაში, ხელმისაწვდომი ადგილების ნაკლებობის გამო: 5(1)(ე) მუხლის დარღვევა. სასამართლოს მიერ დადგენილი დროებითი ღონისძიების აღსრულების 35 დღით დაგვიანება, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილი იყო ბიპოლარული პაციენტის სპეციალიზირებულ ცენტრში მოთავსება: 34 მუხლის დარღვევა.

სელეში და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (OTHERS V. UKRAINE) ■ საჩივრების ნომრები: 432/20 და 3 სხვა

სამუდამო პატიმრობა გათავისუფლების პერსპექტივის გარეშე: მე-3 მუხლის დარღვევა.

შირხანიანი სომხეთის წინააღმდეგ (SHIRKHANYAN V. ARMENIA) ■ საჩივრის ნომერი: 54547/16

არასათანადო სამედიცინო დახმარება; დახმარებისა და გარე ვარჯიშის შესაძლებლობის არარსებობა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრისათვის, და სამართლებრივი დაცვის არარსებობა ასეთ დარღვევასთან მიმართებაში: მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევა. პატიმრობისა და მისი გაგრძელების შესაბამისი და საკმარისი მიზეზების წარმოუდგენლობა: 5 § 3 მუხლის დარღვევა. ხელისუფლების უარი სასამართლომდე მომჩივანისა და მისი წარმომადგენლის პირად შეხვედრაზე: 34 მუხლის დარღვევა. დროებითი ღონისძიების სავარაუდო შეუსრულებლობა, რომლის მიხედვითაც უნდა გაწეულიყო შესაბამისი სამედიცინო დახმარება: 34 მუხლის დარღვევა.

ბაილო უკრაინის წინააღმდეგ (BAYLO V. UKRAINE) ■ საჩივრის ნომერი: 21848/20

ქირურგიული ჩაურევლობა მძიმე მდგომარეობის მქონე პაციენტისათვის, რაც მას ყოველდღიურ ფუნქციონირებაში უშლიდა ხელს, კერძოდ კი, ორივე თვალის კატარაქტით: მე-3 მუხლის დარღვევა.

ს.ა. უკრაინის წინააღმდეგ (S.A. V. UKRAINE) ■ საჩივრის ნომერი: 7445/21

არასათანადო მოპყრობის რისკი ექსტრადიციის შემთხვევაში, რადგან არ მომხდარა არსებითი შესწავლა რისკისა, რაც სავარაუდოდ ემუქრება პატიმარს ტაჯიკეთში: მე-3 მუხლის დარღვევა.

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე >>



www.prisonlitigation.org

21ter rue Voltaire

75011 Paris

France

contact@prisonlitigation.org



წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის, UNAIDS და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის, UNAIDS ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია, UNAIDS და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.



